



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებთ კანონმდებლობით

შესაძლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაძლო ცვლილებებს, რომელთა მიზანია გადახდისუუნარო სასესხო ვალდებულებების მქონე პირების ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქება.

აღნიშნული ცვლილებების თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან შესაძლოა გათავისუფლდეს იმ ფიზიკურ პირთა შემოსავლები, რომლებმაც ფინანსური ინსტიტუტებისგან სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიიღეს სარგებელი.

გარდა ამისა, ცვლილებების საშუალებით, ფინანსურ ინსტიტუტებს მიეცემა შესაძლებლობა (ნაპატიები) სასესხო ვალდებულების ღირებულება გამოქვითონ ერთობლივი შემოსავლიდან. ამასთანავე, (ნაპატიები) სასესხო ვალდებულების ღირებულება ფინანსური ინსტიტუტის მიერ ერთობლივ შემოსავალში ჩართვას არ ექვემდებარება.

თარიღი
მარტი 2016

ამ თვის გამოცემაში შეგიძლიათ
იხილოთ:

[შესაძლო ცვლილებები
საქართველოს საგადასახადო
კოდექსში](#)

[შესაძლო ცვლილებები
საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კანონმდებლობაში](#)

[კანონპროექტი „მიწის ნაკვეთზე
უფლებათა სისტემური
რეგისტრაციისა და საკადასტრო
მონაცემების სრულყოფის
შესახებ“](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო
გადაწყვეტილება](#)

შესაძლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შემავალ ზოგიერთ ცვლილებას, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა მორიგებისა და მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის დროს დაინტერესებული მესამე პირების უფლებების დაცვას.

ცვლილებების თანახმად, მოპასუხემ სარჩელის ცნობამდე, ასევე, მხარეებმა საქმის მორიგებით დამთავრებამდე, სასამართლოში უნდა წარადგინონ ცნობა საჯარო - სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ დავის საგანზე (ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) რეგისტრირებული არ არის საჯარო - სამართლებრივი შეზღუდვა. პროექტის თანახმად, ცნობა უნდა შეიცავდეს, შესაბამისად, სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების მომენტისათვის ძალაში მყოფ მონაცემებს.

კანონპროექტი „მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია ახალი კანონპროექტი მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ. კანონპროექტის მიზანია ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, რათა მოხდეს უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნა.

კანონპროექტი შექმნის კანონიერ საფუძველს, რათა სხვადასხვა უწყებამ შეძლოს ისეთი ღონისძიებების და სამუშაოების ჩატარება, რომლებიც გააადვილებს კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას, მოხსნის ფინანსურ და სხვა ბარიერებს და გააუმჯობესებს კერძო პირთა უფლებრივ მდგომარეობას.

აღნიშნული კანონპროექტი განაპირობებს ცვლილებების შეტანის საჭიროებას სხვადასხვა კანონებშიც, კერძოდ:

- „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2015 წლის 1 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების წარმოშობასა და საქონლის კონტრაფრაქციულობის^[1] დასადასტურებლად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით (საქმე №ას-1285-1223-2014).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო:

1. წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე მის მიერ მითითებულ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელს;
2. ვის ეკისრებოდა საქონლის კონტრაფრაქციულობის მტკიცების ტვირთი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან „დაცულ“ ქონებას წარმოადგენს. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების უფლების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, საქონლის კონტრაფრაქციულად მიჩნევისათვის უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა: (1) საქონელი უნდა იყოს იმ საქონლის იდენტური ან მსგავსი (შედიოდეს იმ საქონლის ჩამონათვალში), რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი; (2) საქონელზე მოთავსებული უნდა იყოს ამ საქონელთან დაკავშირებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი; (3) იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი მოთავსებული უნდა იყოს უნებართვოდ.

ზემოაღნიშნული ნორმით მოცემული ყველა ელემენტი კუმულაციურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ კონტრაფრაქციულობის ფაქტი დადგინდეს.

ამასთან, კანონიერი მფლობელი თავის უფლებებს სასაქონლო ნიშანზე ადასტურებს რეგისტრაციის ოქმებით, ხოლო საწინააღმდეგო მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

^[1] კონტრაფრაქციული პროდუქცია - ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

[Home](#) | [Security](#) | [Legal](#) | [Privacy](#)



ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც "Deloitte Global") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about. დელოიტის საქართველოს ოფისის იურიდიული სტრუქტურის დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ <http://www2.deloitte.com/ge/ka/pages/about-deloitte/articles/about-deloitte.html>.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, Deloitte Touche Tohmatsu Limited-ი, მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (რომელთა ერთობლიობა შეადგენს „დელოიტის ქსელს“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებენ პასუხისმგებლობას პროფესიონალური მომსახურების მიწოდებაზე. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.